

აჭარის ტელევიზიის და რადიოს განვითარების კონცეფცია  
ირაკლი ანთიძე

ტელევიზია ლათინური სიტყვა და შორს ხედვას ნიშნავს. ამ სიტყვის სრულ მნიშვნელობას ტელევიზიამ თავისი ისტორიული განვითარების ლამის ასწლიანი წარსულის შემდეგ მიაღწია ინტერნეტის და სხვა სატელიტური ტექნოლოგიების განვითარების შემდეგ. ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ ტელევიზია ახალ გარდამავალ ეტაპზე იმყოფება და ძალიან ახლო მომავალში არ არის გამორიცხული სამას სამოც გრადუსიანი ვიდეო მაუწყებლობის სტანდარტის მხილველი აღმოვჩნდეთ რაც აშკარად სატელევიზიო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის განვითარების რევოლუციას გამოიწვევს.

დაუბრუნდეთ აჭარის ტელევიზიას რომელიც სამწუხაროდ მრავალწლიან წარსულისა ჯერ კიდევ ავადმყოფი ჩანასახის მდგომარეობაში იმყოფება. ამის მიზეზი პირველ რიგში მენეჯმენტის არაპროფესიონალიზმია რაც სამწუხაროდ აჭარის ტელევიზიაში (მანკიერ) ტრადიციადაა აღთქმული და დღემდე გრძელდება.

მართველი რგოლის უგუნურება არაერთ კვლევაში აისახა, დინამიკაში აშკარაა რომ ტელევიზიამ დაკარგა ნდობა და აქედან გამომდინარე მაყურებელიც. დღეს არსებულ ელექტრონულ მედის სივრცეში, მზარდი რეიტინგის ვარდნა მხოლოდა მიზანდასახულ საბოტაქზე მიუთითებს, რადგან საზოგადოებრივი მაუწყებელი, კომერციული მაუწყებლისგან განსხვავებით, ვალდებულია იყოს დომინანტი და ფლაგმანი სატელევიზიო ბაზარზე. ის ვალდებულია სხვა მაუწყებლებს

კარნახობდეს სატელევიზიო სტილს და ამბის თხრობის  
მანერას.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ეხება რადიოს.

პრობლემის გადაჭრის გზები.

უნდა იქნას გადმობირებული ან მოწვეული  
კვალიფიცირებული კადრები და აჭარის ტელევიზიამ უნდა  
განვლოს საზოგადოებრივი მაუწყებლის CNN-ს ისტორიული  
გზა.

ხოლო პროფესიონალების მიერ დაკომპლექტებული მართველი  
რგოლი მაუწყებლობის შესახებ კანონთან თანხვედრაში  
შეძლებს კანონის და მაყურებლის ინტერესების  
დაკმაყოფილებას და მასზე დაკისრებული მოვალეობების  
აღსრულებას.